№ 124
სამშაბათი, 14 ივნისი 1894

1877—1894

# ივერია

№ 124
სამშაბათი, 14 ივნისი 1894

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

**გაზეთის დასაბარებლად:**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას—სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.
**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი 8 კოპეიკი.

## „ივერია“
გამოდის 1894 წელს
**იმავე პროგრამით, როგორც წინად.**

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:
ტფილისი,
„ივერიის“ რედაქციას
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას, სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.
სატელეგრ. ადრესი:
**ТИФЛИСЪ.** Редакція „ИВЕРІА“.

დამზღვევი საზოგადოება
## „იაკორი“
(ღუზა)
უმაღლესად დამტკიცებული 1872 წელს.

რომელსაც ძირითადი თანხა **2,500,000** მან. აქვს, გარდა სათადარიგო ფულისა.

### დაზღვევა სიცოცხლისა.
ამით აცხადებს, რომ მის მიერ მიიღება დაზღვევა სიცოცხლისა განსაკუთრებითი სასარგებლო პირობებით იმ შემთხვევისათვის, როცა შრომა აღარ შეეძლებათ. დაზღვეულს მონაწილეობა ექნება აგრეთვე საზოგადოების მოგებაში.

### დაზღვევა ცეცხლისაგან.
მიიღება ყოველნაირი მოძრავისა და უძრავის ქონების დაზღვევა ცეცხლისაგან აგრეთვე ზღვით-მდინარით და ხმელეთით წასაღ-წამოსაღების საქონლისა.

წესები, პირობები წერილობითი და სიტყვიერი მოლაპარაკება განეზიარება მსურველს ტფილისის საზოგადოების გამგეობაში, რომელიც დადგენილია კავკასიის მხრისათვის და იმყოფება ბარონის ქუჩაზე, კალოუბნელის სახლში, ანუ თვით საზოგადოების აგენტის ალექსანდრე პეტრეს ძის ზავრიევისაგან, რომელიც დგას ველიამინოვის ქუჩაზე № 2. (50—1234—14)

ი. ცერ-დავიდოვი
რომელსაც **სწავლა დამთავრებული აქვს** პირველის ხარისხით (свободный художникъ) რუსეთის საიმპერატორო სამუსიკო საზოგადოების მოსკოვის კონსერვატორიაში, პროფესორ პ. ა. პაბსტის ხელმძღვანელობით ასწავლის ფორტოპიანოს, როგორც თავისთან, ისე მსურველის სახლში.
ადრესი: ელისაბედის ქუჩა, საკუთარი სახლი, № 46.
(2—1373—1)

ტფილისი, 14 ივნისს

ამ ორის დღის წინად, „ივერიი“ მე-123-მე №-ში გარჩეული იყო ახლად გამოცხადებულის კანონის ღირსება, რომელიც სამხედრო კაცთა ხმალში გასვლას სავალდებულოდა ჰხდის.

დედა-აზრი ამ წერილისა ის არის, რომ ხმალში გასვლა ადამიანის პატივისა და ღირსების დასაცველად კანონიერი და რიგიანიაო; რომ ის „ერთად-ერთი საშუალებაა მრავალს შემთხვევაში, რადგანაც არის ხოლმე ისეთი გარემოება, რომლის გამოც არც სახელმწიფო მართლ-მსაჯულებაში მოსახერხებელია ლაპარაკის აღძვრა და არც სამედიატორო წესით, და, როდესაც ამ გვარ საგანს შეეხება შეურაცხმყოფელი, მაშინ, რასაკვირველია, მეტი ღონე აღარა რჩება პატიოსანს კაცს—უნდა მიანდოს თავისი სიცოცხლე ხმალსა და დამბაჩას“.

შემდეგ წერილი იმითი ბოლოვდება, რომ „სასურველია ამ გვარივე კანონი გამოიცეს საზოგადოდ, რადგან პატიოსნების დაცვა თანასწორად სავალდებულოა ყველა წოდებისათვის“.

შეურაცხმყოფელის ხმალში გამოთხოვა, რომ ყოველი იმ ადამიანისთვის, რომელსაც, თავისის საზოგადოების პატივისა და ღირსების დასაცველად, პირადი ღირსება და პატივი დიდად უნდა მიაჩნდეს და მტკიცედ უნდა ჰქონდეს დაცული, აუცილებელი მოვალეობაა, —ამის შესახებ სიტყვის გაგრძელება სრულიად მეტია; რადგანაც ის ადამიანი, რომელიც იმას არჩევს, რომ ყველივე დამამცირებელი შეურაცყოფა აიტანოს და შუბლი-კი არ მიუშვიროს ტყვიას, მოკლებულია უფლებას ადამიანის სახელი ატაროს! თუ ზემო აღნიშნულის წერილის შემდეგ გამოვესაუბრეთ ჩვენს მკითხველებს, ეს იმისათვის მხოლოდ, რომ ჩვენ გვინდა ორს საგანს შევეხოთ: ა) როდესაც სამხედრო და გარეშე წოდების კაცი ერთმანეთს ხმალში ითხოვენ—მ:თ ორივეს ერთი და იგივე პასუხის გება მოელით წინაშე სამსჯავროსა ახალის კანონის ძალით, თუ—არა? და ბ) თუ მართლა „პატიოსნების დაცვა თანასწორად სავალდებულოა ყველა წოდებისათვის“?

პირველ საგნის შესახებ გადაჭრით პასუხის გება, ჩვენის ფიქრით, შეუძლებელია, რადგან ეს საგანი ახალ კანონში გარკვევით არ არის აღნიშნული. იქ სწერია: „როდესაც ორივე პასუხის გებაში მიცემულნი მოწინააღმდეგენი, ან ერთი მათ შორის, აფიცერთა წოდებას ეკუთვნის, ოლქის სასამართლოს ბრალმდებელი ზედ ართავს თავის აზრს იმის შესახებ, თუ რა მიმართულება უნდა მიიღოს შემდეგ საქმემ, და უგზავნის სამხედრო მინისტრს. უკეთუ სამხედრო მინისტრმა შესაძლოდ ვერ დაინახა სამოსამართლო წესის გზით იაროს იმ საქმემ,—უნდა მოელაპარაკოს სასჯულო მინისტრს, მორიგდეს იმასთან და საქმე წარუდგინოს ხელმწიფე იმპერატორს და სთხოვოს, კეთილ ინებოს და ბრძანოს: „წარმოება მაგ საქმისა მოსპობილი იქმნასო“.

რასაკვირველია, ასეთს შუამდგომლობას სამხედრო მინისტრისას წინ წაძღოლილი ექნება განაჩენი იმ ჯარის აფიცერთა კრებულისა, სადაც თვით ხმალში გათხოვილი ემსახურება. ამ კრებულის განაჩენი, ახალის კანონის ძალით, სავალდებულოა ყოველის აფიცრისათვის. რათა დაცულ იქმნას «დაუთრგუნველობა პატიოსანის სახელის დაცვის ტრადიციებისა და შეუბღალავი აფიცრის ღირსება». მაშასადამე ყოველ ამ გვარ შემთხვევაში ხმალში გასული აფიცერი იქმნება ნაპატიები ხელმწიფისაგან და ყოველივე გამოძიება მისს შესახებ მოსპობილი.

მაგრამ როგორც ზოგიერთი გაზეთები ჰფიქრობენ, თუ ამ საქმის მოსპობა იმ ჯარის კაცთან ერთად არ ანთავისუფლებს კანონის წინაშე პასუხის გებისაგან გარეშე წოდების კაცსაც. რომელთანაც სამხედრო წოდების კაცი ხმალში გავიდა, მაშინ ამ გვარი შედეგი, საფიქრალია, არ დააკმაყოფილებს დროის მოთხოვნილებას... და თუ გამოძიების მოსპობა, როგორც სამხედრო კაცს, აგრეთვე გარეშე წოდების კაცსაც ერთ ნაირ შედეგს მოუტანს,—მაშინ რა საკვირველია, ეს სასიკეთო და ჯეროვანი იქნება.

რაიცა შეეხება „პატიოსნების თანასწორად ყველა წოდებისაგან დაცვას“, ჩვენ სრულიად უნდა დავეთანახმოთ ბ. „მეველეს“ აზრს.

ჩვენს დროში, როდესაც საკმარისად გამოკვლეულია ადამიანის მნიშვნელობა, ღირსება, მოვალეობა და არსების საგანი, ძნელად საფიქრებელია ვინმემ სთქვას, რომ პატივისა და ღირსების დაცვა რომელისამე ერთი წოდების განსაკუთრებული უფლებაიყოს...

პატივი და ღირსება, მისის შემწეობით თავმომწონედ სიარული ცხოვრების სარბიელზედ ერთის რომელისამე წოდების განსაკუთრებული უფლება კი არა, მთელის კაცობრიობის საერთო უფლებაა!..

მაშასადამე პასუხის გებაც და შედეგიც, ჯილდოც და სასჯელიც ყოველის ადამიანისათვის ერთგვარი უნდა იყოს!..

მენავე

## ახალი ამბავი

*** წრეულს ტფილისის ალექსანდრეს საოსტატო ინსტიტუტში თვრა-

## ფელეტონი

**„ჩასტნი პოვერენი უბედაძე“**

(სურათი)

### I

მომრიგებელ-სასამართლოს ეზო ხალხით სავსეა. ყველანი მსაჯულის მოსვლას ელიან; ეზოში აქა-იქ თითო-თითო ჯგუფი დგას: ზოგი ხმამაღლა ლაპარაკობს, ზოგიც იდუმალის ჩურჩულით უხსნის თავისთან მოსაუბრეს საქმის ვითარებას, რომლის გამოც იგი სასამართლოში მოსულა. ყველას რაღაცა მოძრაობა ეტყობა, მოუთმენლობით მოელიან საქმის დასასრულს...

აი ერთ ალაგს ვიღაცა ლიპ-გადმოგდებული, დარბაისლურის ღაბაბის მქონე მოვაჭრე, რაღაზედაც ეჩურჩულება სასამართლოს მწერალს და, ამასთანავე, ცალი ხელი ჯიბისაკენ მიაქვს; ერთბაშად შესწყვიტა მან ჩურჩული, გაფაციცებით მიავლ-მოავლო იმ არე-მარეს თვალი,—ხომ არავინ მიყურებსო—და, რა დარწმუნდა, რომ შიში არსაიდგან არ მოელით,—ჯიბიდამ ამოღებული წვრილი ფული ხელში ჩაუდო მწერალს, რომელიც აქნობამდის მოუთმენელად ადევნებდა თვალს ვაჭრის ხელის მოძრაობას,—ხოლო რა იგრძნო, რომ საჩუქარი—ხურდა ფულია და არა ქაღალდი—ყვედრებით ეუბნება:

— ესე ცოტა?!.

— არა უშავს-რა, ჯერ-ჯერობით ეგ იყოს და მერე სხვა იქნება... შენ ის საქმე გაჩარხე!.. უმადური არ დამრჩები...

მეორე ალაგას მოჩივარი და მოპასუხე შეჰბნიან ერთმანეთს. ორივეს თავისი თავი მართალი მიაჩნია და ერთმანეთს ამტყუნებენ. თვითეული მათგანი სიტყვის დასამტკიცებლად იქვე მდგარს მოწამეს ჰკითხავს: „კაცო, შენ შენი ღმერთი, ესე არ არის?“ და ისიც კვერს უკრავს: „ღმერთიც გამიწყრეს და ხატიც, თუ ევრე არ იყოს“!.. და ასე, ამ რიგად, ორივე მხარე უბრალოა ურთიერთისადმი.

ეზოს შუაგულში დგას მოზდილი თუთის ხე, რომელიც საკმაო ჩრდილსა ჰფენს თვის გარშემო. ამ ხესთან გრძელი „სკამია“ გამაგრებული მიწაში ფეხით. სკამზე ზის ერთი კაცი ევროპიულის ტანისამოსით და კუთხეებ მოგლეჯილ „პორტფელში“ ჩაწყობილ ქაღალდებს ათვალიერებს. ეს კაცი გამხდარ-გამხდარია; მოწითალო თმა-წვერ-ულვაში აქვს და მოუსვენარი ჭრელი თვალები. ამ სერთუკოსანის პირდაპირ სამის ნაბიჯის სიშორეზე სდგას ქუდ-მოხდილი, ჯოხზე დაბჯენილი შუახნის გლეხ-კაცი, რომელსაც შემოგლეჯილი თაგვისფერი ჩოხა და ქალამნები აცვია. იგი მოწიწებით ელაპარაკება ზემოთ დასახელებულს სერთუკოსანს.

— მაშ, ბატონო, იმედი გაქვთ?.. მოგახსენებენ, შენი ჭირიმე, მოწმები შეუსყიდნიაო...—უთხრა გლეხმა იმ კაცს და თან თავი გაიქნია „ახ მე“-ს.. ძახილით.

— შენ ფიქრი ნუ გაქვს.—უპასუხა იმან და ამასთანავე „პორთფელი“ დაკეცა და გვერდზე მოიდო.

— არც ჩვენ გვყავს ნაკლებათ გაწაფული მოწმები, ხომ ნახე, როგორ დავარიგე?!. მხოლოდ საიმედონი არიან?.. იქნება განგებ არა თქვან ის, რაც მე ვუთხარი...

— მაგაზე არხეინად ბრძანდებოდეთ...

— მაშ კარგი და პატიოსანი... რიღასი გეშინიან?...

— „ატუკანტი“ დაუჭერიაო, შენი ჭირიმე... აი...

— ეჰ... თუნდა სპასოვიჩი მოიყვანოს... სულ ერთია... მერე იცი, ის ადვოკატი როგორი ადვოკატია? მე... მე კაცი არ ვიქნები, თუ ხმა არ გავაკმენდინე! იმ...იმ...იმ...მ...მ... იმ ინდაურს! მე... მე... მე «ჩასტნი პოვერენი» უბედაძე ვარ და... ამიტომ შენი შიში ტყუილია, დამიჯერე!.. ე არამც თუ აქ, ამ „წუნკალა“ მ„სუდში“, თვით „პრავიტელსტვუიუშჩი სენატშიც“ მიწარმოებია საქმე!.. მერე განა მაგ ღვინის კოლოტსავით გასქელებულ ადვოკატებთან მქონია შეტაკება!? მე... მე... მე... ერთის სიტყვით ნუ რა გეფიქრება რა... ჩემი იმედი გქონდეს... დაათავა ტკბილის ღიმილით ბ. უბედაძემ, რომელიც აქნობამდის მეტად იყო აღფრთოვანებული და სალოდავ „პორთფელს“, ისეთაც წელ მოწყვეტილს, დაგლეჯილს

ეტმა კაცმა დაამთავრა სწავლა, რომელთა შორის თორმეტი რუსია, ექვსი ქართველი: გ. ბეროზაშვილი, ი. ბუქურაული, ა. ჯუღელი, ტ. კლიმიაშვილი, პ, სურგულაძე და ი. ჰეიშვილი.

*⁎* წელს მეორე კლასიკურს გიმნაზიაში ოცდა ათმა მოსწავლემ დაამთავრა სწავლა. ამათში ოთხი ქართველია: ივანე გომართელი, გიორგი ყაზახაშვილი, თ. გიორგი მუხრანსკი და იობ გძელიშვილი. ივანე გომართელი დაჯილდოვებულია ოქროს მედალით და სტიპენდიით. ყველანი უმაღლესს სასწავლებელში აპირებენ შესვლას.

*⁎* სტამბოლში მცხოვრებ ქართველებისაგან გაზ. „კვალს“ მოსვლია 50 მან. ქართულის სალიტერატურო ფონდის სასარგებლოდ.

*⁎* ჩვენ მოგვივიდა ბ-ნ ალ. მახვილაძესაგან შეკრებილი ქ. სიღნაღში შოთა რუსთაველის ძეგლის ფონდისათვის 8 მან. 10 კაპ. ამ ფონდისა გვქონდა 1009 მან. 82 კაპ., ამითი შესდგა 1017 მან. 92 კაპ.

*⁎* ის უცნობი ქალი, რომელიც ამ დღეებში მიხეილის ხიდიდგან გადავარდა მტკვარში, აღმოჩენილა ტფილისის საპატიო მოქალაქის მიხ. ნაზარბეგოვის ასული ოლღა, 17 წლისა. ამ ქალს ტფილისის საპროფესიონალო სასწავლებელში დაუმთავრებია სწავლა.

*⁎* როგორც შევიტყეთ, მე-16 გრენადერ. მინგრ. პოლკის ოფიცერი, პოდპორუჩიკი ჩარნეცკი აღმოჩენილა მემკვიდრედ იმ აურებელის სიმდიდრისა ($1^1/_2$ მილიონისა), რომელიც დარჩა ამ ცოტა-ხანში პეტერბურგში მოკლულს ჩარნეცკის ქალს.

*⁎* წრეულს საქალებო ინსტიტუტში მოწაფეთა სწავლის დამთავრების შემდეგ განთავისუფლდა რვა სახელმწიფო ვაკანსია. ამათ შორის ორს ვაკანსიაზედ, რომლებზედაც მიღებულნი უნდა იყვნენ ადგილობრივ მცხოვრებთა ობოლი და დედ-მამიანი ბავშვი, ბ-ნ მთავარ-მართებლის განკარგულებით იქმნება დანიშნული; ერთს ობოლთა ვაკანსიაზედ უკენჰოდ მიღებულია კნ. მარიამ გურგენიძის ასული, დანარჩენი 5 ვაკანსია 4 ივნისს კენჭით ერგოთ: ოლგა წითლანაძის ასულს, ეკატერინე ბასიშვილის ასულს, ოლგა ზმაილოვს, ნატალია კონკოვს და ვერა ორლოვს.

*⁎* ტფილისის ბაზრებში დიდ ძალი საკლავი მოდის მაგრამ ხორცის ფასი-კი, თუ არა ჰმატულობს, არა კლებულობს, საკვირველი ის არის, რომ ზოგან ნიხრზედაც ძვირად ჰყიდიან. მაგალითებრ, მთაწმინდაში გირვანქა ცხვრის ხორცს ორ შაურ ნაკლებ ვერ იყიდით, თუმცა ქალაქის ნიხრით რვა კაპეიკად უნდა ისყიდებოდეს გირვანქა. სასურველია, რომ ამას ყურადღება მიაქციოს ვისგანაც ჯერ არს.

*⁎* სამეგრელო. ერთად ერთი საშუალება ჩვენის ცხოვრებისა სიმინდი იყო, მაგრამ ეხლა იქამდე დაეცა ფასი, რომ ფუთი სიმინდი 23—25 კაპ. ისყიდება, რის გამოც საშინელს გაჭირვებაშია ხალხი ჩავარდნილი. იქამდის მივიდნენ, რომ ხარს, კამბეჩს, ძროხას მესამედ ფასად ჰყიდიან და მაინც მსყიდველი არსად არის. თუ ასე გასტანა, მთლად დაიღუპება ხალხი. ამ მდგომარეობით შეჭირვებულთ ღვთის სახლიც-კი აღარ ახსოვთ, აქამდის ყოველ დღესასწაულში ეკკლესია სავსე იყო ხოლმე ხალხით, ეხლა-კი ხუთ კაცს ვეღარ ნახავთ წირვა-ლოცვაზედ მოსულს. იმედია მთავრობა ყურადღებას მიაქცევს მეგრელთა ასეთს გაჭირვებულ მდგომარეობას.

*⁎* ახალციხე: გავიდა მაისი და ცოტაოდნად გულს იმედი დავვესახა. ვიფიქრეთ თიბათვე მაისსავით არ ჩამოგვეტირებს და არ იცრემლებსო, მაგრამ იმედი გაგვიცრუვდა. თიბათვეც მაისსავით იცრემლება და ერთი ხეირიანად არ გამოუდარნია: შუადღისას რომ ცხელა, დილით და საღამოთი საკმარისად ცივა. ამ ჟამად აქ წითელაა გავრცელებული

*⁎* სოფ. ხაშური (გორის მაზრა): ამ უკანასკნელ ხანებში ჩვენ სოფელში გამრავლდნენ უცნაური ქალები, რომელთაგანაც მოსვენება არა აქვთ აქაურებს, მობინდდება თუ არა, დაიწყებენ ქუჩა-ქუჩა სიარულს, აიდევნებენ ყმაწვილ-კაცობას, ითვრებიან, აუტყდებათ ერთი ჩხუბი და ალიაქოთი. რამდენჯერმე ვაცნობეთ ადგილობრივ ბოქაულს, მაგრამ ჯერჯერობით ეს ამბავი ამ მდგომარეობაშივეა დარჩენილი.

*⁎* სოფ. ნიგოითი (გურია): ჩვენს სადგურზედ ძალიან ხშირად იკარგება ჟურნალ-გაზეთობა და ამ მარით ძალიან გაჭირვებულები ვართ, იმაზედ ცუდი მდგომარეობა იქნება, რომ ადამიანმა გაზეთი, ან ჟურნალი გამოიწეროს და ათს ნომერში, მაგალითებრ, ხუთი არ მაუვიდეს. სადგურის უფროსი კარგს იზამს, რომ ყურადღება მიაქციოს ამ საქმეს.

*⁎* 12 ივნისს ძველ-ბებუთოვის ქუჩაზედ სოლომონ ბორსელიანცი მანუკა არუთინოვს წაეჩხუბა და თავში ჩაქუჩი დაარტყა, დაშავებული სამკურნალოში გაჰგზავნეს, დამნაშავე შეიპყრეს.

*⁎* ამავე დღეს მრუდე ქუჩაზედ სერგეი მიქელოვი ცხენს მიაჭენებდა, ცხენი სოფ. ცხავას მცხოვრებელს 60 წლის ელენე მერთაურს დააჯახა და წააქცია. ქალს თავი ისე მძიმედ დაუშავდა, რომ მისი მორჩენა საეჭვოა. დამნაშავე შეიპყრეს.

## რუსეთის დედოფლის მოგზაურობა

მისი იმპერატორებითი უდიდებულესობა ხელმწიფე იმპერატრიცა უავგუსტოესის დიდის მთავრინა ქსენია ალექსანდრეს ასულითა და დიდი მთავარი ალექსანდრე მიხეილის ძითურთ აბასთუმანში სცხოვრობდნენ მაისის 15-დგან 11 ივნისამდე. ამ დღეს საქართველოს დიდებულნი სტუმარნი გაემგზავრნენ ბათუმს და იქიდგან ნოვოროსიისკზე კურსკო-ხარკოვო-აზოვის სადგურ „ბორკას“, რადგან ამ თვის 14-ს დანიშნულია ახლად აგებულ ეკკლესიის კურთხევა სწორედ იმ ალაგას, სადაც 1888 წ. უბედურება დაემართა სამეფო მატარებელს.

შაბათს დილიდანვე აბასთუმანი კეკლუცად მოირთვა დროშებით, ყვავილების ხვეულებით. დილიდანვე დიდის მთავრის გიორგი ალექსანდრეს ძის სასახლეს მიაწყდა დიდ-ძალი ხალხი, რათა კიდევ ენახათ დედოფალი. რემერტის ხიდიდგან გამწკრივდა ჯარი მუსიკით, რომელიც უკრავდა რუსეთის საგალობელს „უფალო ჰფარვიდე მეფესა“. დილის $10^1/_2$ საათზედ სასახლიდგან დედოფლის დროშა ჩამოიღეს. ხალხი აღელვდა. აქაიქ „მოდიან“ და „ვაშას“ ხმა ისმის. წინ მოდიან ყაზახები. პირველ ეტლში სხედან მისი იმპერატორებითი უდიდებულესობა თავისის უავგუსტოესის შვილებით და აგრეთვე დიდი მთავარი ალექსანდრე მიხეილის ძე. შემდეგ ეტლებით დედოფალს მოსდევდნენ სეფე ქალი ქ-ნი ოზეროვისა, მისი უდიდებულესობის კარის-მინისტრი გენერალ-ადიუტანტი გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი, კავკასიის მთავარ-მართებელი გენერალ-ადიუტანტი შერემეტევი, ტფილისის გუბერნატორი თავ. შარვაშიძე და სხვ. სულ 22 ეტლი იყო. აბასთუმანში დედოფალმა მრავალი ძვირფასი ოქრო-ვერცხლის და ბრილიანტების ნივთები დაურიგა საჩუქრად.

დიდებულნი მგზავრნი ახალციხეში მობრძანდნენ დილის 11 საათზე. ახალციხელები დაუხვდნენ დედოფალს ფოსტის სადგურთან „ურას“ ძახილით. ხალხი, ჯარი მუსიკით, სასწავლებლების შეგირდები, ამქარი ორ ვერსის მანძილზედ იდგნენ გზის ორსავე მხარეს. დედოფალი ხალხს თავს უკრავდა. სანამ ცხენებს გამოსცვლიდნენ, ქალაქის მოურავმა მიართვა მის უდიდებულესობას თაიგული. დედოფალმა მადლობა გადაუხადა და ხელზედ ამბორის ნება დართო. აქვე მის უდიდებულესობამ მიიღო მრავალი თხოვნა და გაემგზავრა ბორჯომს. აწყურში დედოფლის ეტლი არ შეუჩერებიათ. ხალხი აღტაცებით ეგებებოდა.

ბორჯომში, სადაც იმპერატრიცას ეტლი მოვიდა ნაშუადღევის 2 საათზე, მის უდიდებულესობას და დიდებულ მოგზაურთ დაუხვდა დიდი მთავარი ნიკოლოოზ მიხეილის ძე. სასახლესთან და გზაზედ დიდძალი ხალხი იდგა. აქ სასახლეში მის უდიდებულესობამ და მათ უმაღლესობამ ამალითურთ ისაუზმეს და შემდეგ ხაშურს გაემგზავრნენ. დიდმა მთავარმა გიორგი ალექსანდრეს ძემ და ნიკოლოოზ მიხეილის ძემ დედოფალი გააცილეს ბორჯომის ველამდე და იქიდგან ისევ დაბრუნდნენ. დიდი მთავარი გიორგი ალექსანდრეს ძე კვირა დილითვე აბასთუმანს დაბრუნდა.

საღამოს 5 საათსა და 45 წუთს რუსეთის დედოფალი, დიდი მთავრინა ქსენია ალექსანდრეს ასული და დიდი მთავარი ალექსანდრე მიხეილის ძე ამალითურთ ხაშურში მობრძანდნენ აქ მათ მიეგებნენ საქართველოს ეგზარხოსი მთავარეპისკოპოზი ვლადიმირი, რომელმაც მიართვა დედოფალს ღვთისმშობლის ხატი და დაულოცა გზა. დედოფალი ეგზარხოსს ეამბორა ხელზედ დ ეგზარხოსი დედოფალს. შემდეგ დედოფლის წინ წარდგნენ პრინცი ოლდენბურგისა დ პრინცი მიურატი მეუღლითურთ, კავკასიის მთავარ მართებლის მეუღლე ე. ბ. შერემეტევისა, რომელმაც დედოფალს ბუკეტი მიართვა, მთავარმართებლის თანაშემწე გრაფი ტატიშჩევი მეუღლითურთ, გუბერნატორის მეუღლე კნ. შარვაშიძისა, კორპუსის კომანდერი გენერალი თ. ამილახვარი, ტფილისის გუბერნიის თავად-აზნ. წინამძღოლის - აღმას. თ. ბებუთაშვილი, ტაინი სოვეტნიკი სტატკოვსკი და სხვანი. სტატკოვსკიმ დედოფალს მიართვა რამდენიმე ფოტოგრაფიული სურათი კავკავის გზისა. მის უდიდებულესობამ ყველას მადლობა გადაუხადა და საღამოს ექვს საათზედ სამეფო მატარებელში შებრძანდა.

რკინის გზის სადგურები ლამაზად იყო მორთული ყვავილებით და ბაირაღებით. საღამოზედ ჩირაღდანი იყო გამართული. რიონიდგან ბათუმამდე რკინის გზის ლიანდაგის ორივე მხარეს მაშხალები ენთო. სამეფო მატარებელი მარტო სამ სადგურზედ შეჩერდა ყვირილაში, სადაც ორთქლ მატარებლები გამოცვალეს, აჯამეთში, სადაც პოლკოვნიკმა პუშკინმა დედოფალს თაიგული მიართვა და ლანჩხუთში დედოფალი დიდი ხანი იდგა ვაგონის ფანჯარასთან და ყურს უგდებდა ქართულ სიმღერებს და უყურებდა ვაგონის წინ მოცეკვავებს.

სამეფო მატარებელი ბათუმს მოვიდა ღამის 1 საათსა და 20 წუთზედ. აქ დაუხვდა ქუთაისის გუბერნატორი, გენეოლობა, ჯარი და დიდძალი ხალხი, რომელიც „ურა“-ს ძახილით მიეგება. ბათუმში რკინის გზის ლიანდაგი ზღვის პირამდე განათებული იყო ბენგალის ცეცხლით, და მშვენიერად იყო გაჩირაღდნებული, ნავთ სადგური ელექტრონის ფარნით იყო განათებული. გამობრძანდა თუ არა დედოფალი ვაგონიდგან, საპატიო დარაჯის მუსიკამ მარშის შემდეგ დაუკრა რუსეთის საერო საგალობელი. მის უდიდებულესობა ამალითურთ მატარებლიდგან გადაბრძანდა „წმ. ნიკოლოოზის გემში, რომელიც ღამის 2 საათსა და 15 წუთზედ ნოვოროსსიისკში წავიდა, ამ გემს უკან მისდევდა კანონერგა ,,დონელი''.

კავკასიის მთავარმართებელმა გე-

---

უწყალოდ აფრიალებდა ხან აქეთ და ხან იქით.

— მაგაზე ვინ რას მოგახსნებთ, შენი ჭირიმე?უთხრა დარწმუნების კილოთი გლეხმა.—თქვენი სახელით რომ არ ვიყო დაიმედებილი, როგორ გავბედავდი მაგ უბრალო საქმის დაწყებას? ოღონდ იმ კაცის ჯავრი ამომაყრევინეთ და... მაგრამ, ბატონო,—აქ გლეხ-კაცის სახეზე ღიმილი გამოიხატა—ერთი ღორის ხუთ თუმნათ დაფისება ვის გაუგონია ჩვენში?

ჰმ..—გაიკვირვა ყბედაძემ.—მერე მაგით ჩვენ რას ვაგებთ?.. მოწმები ხომ დაამტკიცებენ ღორის ფასს? და შენც, შენის მხრით, მოახსენე სუდიას ღორი „რუსული“ ჯიშისა იყოთქო; ერთის სიტყვით, შენ დარდი არ გაიტარო გულში... მ...მ...მ...ა.. ა..ა... ის ე...ე... დაპირებული ხუთი მანეთი-კი ეხლავე უნდა მომცე....

ეს უკანასკნელი სიტყვები ბ-ნმა ვექილმა გაჭიანურებით, ყოყმანობით წარმოსთქვა, ამასთანავე თვალები მოარიდა გლეხ-კაცის სახეს და სხვა მხარეს მიაპყრო.

გლეხი შეყოყმანდა.

— ხუთი მანეთი აკი მოგართვით...—უთხრა იმან გაუბედავად...

— ის არზის დასაწერი იყო...

გლეხმა ერთს ხანს იტორტმანა, უაზროთ წადგა წინ და უკან ნაბიჯი, თვალები აქეთ-იქით აატარ-ჩაატარა, ბოლოს რომ ვერა მოახერხა-რა, ჯოხი იღლიაში გამოირჭო დ ქუდის ყალმანს დაუწყო ბრუნება; ამოიღო ათად მოკეცილი გაქონილი ძველი ყალიბის ხუთ-მანეთიანი და ათრთოლებულის ხელით გაუწოდა ყბედაძეს, თანაც ძალ-დატანებულის ღიმილით დაურთო:

— ბატონო, თითონ ღორი არა ღირდა თუმანი და თქვენი-კი გასამჯელოს ხუთმეტ მანეთს მართმევთ.

—საკვირველია ღმერთმანი?!—სთქვა მხრების შეთამაშებით ყბედაძემ და თან ხუთ-მანეთიანი უბის ჯიბეს ამოაფარა.-არა, შე მამა-ყელ-ქონიანო, რასა ჰკარგავ მაგით? წარმოიდგინე, ხუთ-მანეთიან ღორში—აქ ყბედაძემ მარცხენა ხელის საჩვენებელი თითი შუბლზე მიიდო, სახეს მეტისმეტი ბრძნული მეტყველება მისცა, რის გამოც ხორცის კანი მთლად დაუნაოჭდა, თვალები უცნაურად გადმოაბრიალა, და მხრები საშინლათ შეათამაშა—ხუთ-მანეთიან ღორშიმეთქი ხ...უ...თ...ი... თუ...მა...ნი (ეს ორი სიტყვა ძალუმათ გააპრტყელ-გააგრძელა) უნდა გა დაახდევინო შენს მტერს და იმ მუქთა ფულიდამ რომ მე, საქმის გამკეთებელს, ხუთმეტი მანეთი მომცე, ცოდოა?!. წაგებაში იქნები?! არ დაგავიწყდეს ამასთანავე, რომ მტერს სამაგიეროს უხდი...

— საქმე რომ ვერ მოვიდეს თავს?

— მოვა... ეს უეჭველია... მართალი საქმე, და მერე ისიც ჩემს ხელში, ყოველთვის იხეირებს!..

— მაშ თუ მართალი საქმეა, ბატონო, განა თქვენ რომ არ იყოთ ჩემი „ატუკანტი“, ისე ვერ დავთხრი თვალებს ნინიანთ ბერუას?

ამ სიტყვებმა ცოტა არ იყოს დაეთარი აურიეს ყბედაძეს. იგი მიხვდა, რომ შეცდომა მოუვიდა, რადგანაც თავისი კლიენტის საქმე „მართალ“ საქმედ ჩასთვალა და ამითი გამოიწვია გლეხ-კაცში ზემოხსენებული სიტყვები.

— ხ.ხა... ხა... ხა... გადაიხარხარა ვექილმა ძალ-დატანებით და იმისმა გამხდარმა ტანმა ცანცარი მოაყოლა.

— ჰმ... რა შეუგნებელი ხართ ეს გლეხ-კაცები!.. გაიგე, რომ ეს საქმე მხოლოდ ჩემს ხელშია მართალი და შენს ხელში კი, უეჭველია, წაიგება... ჰო, მართლა... თუ სუდიამ შერიგებაზე გითხრას რამე—უპასუხე—არა მსურს შერიგება-თქო. ეხლა-კი წავიდეთ, საქმე გავსინჯოთ „სუდიის“ მოსვლამდის.

II

ვექილმა „კლიენტი“-თურთ სასამართლოს შენობისაკენ გასწია; შევიდა ერთს ოთახში, რომელშიც სამი მწერალი ქაღალდს შესჭიდებოდნენ და განეზრახათ მისი სითეთრე-სისპეტაკის შელახვა მელნით. ყბედაძე ერთს მწერალთაგან მიუახლოვდა; ეტყობოდა—ეს უნდა ყოფილიყო ამათში უფროსი.

— გამარჯობა, სოსიკო,—მიესალმა ყბედაძე მწერალს.

— გაუმარჯოს „ჩვენს სპასოვიჩს“-უპასუხა დაცინვით მწერალმა, ამასთანავე კბილებში კალამი გამოირჭო და ხელი გაუწოდა.

— სუდიამ დღევანდელი საქმეები გადმოგცა?

— გადმომცა.

— მანახე.

— ინახულე... კაცო, რატო პროცენტებს არ მაძლევ? მგონი ხუთი

ნერალმა შერემეტევმა და ტფილისის გუბერნატორმა თავ. შარვაშიძემ დედოფალი გააცილეს ბათუმამდე და იქიდგან სამეფო მატარებლითვე ტფილისს დაბრუნდნენ.

12 ივნისი

გ. მ. პავლოვი

# დამაკვირდი

ბაყაყი ხავერდით გადაფენილს ტახტზედ რომ დასვათ, მაინც ტალახში გადახტება.

მილლერი

**

ხალხის ლანძღვას არაფრად ვაგდებთ, მაგრამ ამავე ხალხის ქება-კი სიამაყითა და სიამოვნებით გვივსებს გულს.

ლაროშფუკო

**

თითონ ნაკლულევანებით სავსე და ღირსებას მოკლებული არსება ნაცვლად სხვის ნაკლულევანების ძებნაშია, ჰგმობს სხვას, რომ ამით თავისი სულის მწუხარება შეიმსუბუქოს.

პიერემონტი

# კორესპონდენცია

**პიატიგორსკი**, 1 ივნისი. აქაურს მადნის წყლებს კარგი ამინდი დაუდგა და, როგორც ეხლავე ეტყობა, წელს ძრიელ კარგი „კურსი“ უნდა იყოს; „კურსის“ სიავ-კარგეც იმაშია, რომ ამ ზაფხულს საავგარაკოდ უცხო ხალხი სტუმრად მეტნი გვეწვივნენ კვლავინდელზედ. აქაურს წყლებს და თვით მშვენიერს სახლებს ზამთრობით ჩალის ფასიც არა აქვს და არა თუ ფასი, პირ იქით, ფულს ჰხარჯვენ იმის სადარაჯოდ, რადგანაც თვით პატრონებიც-კი ზამთრობით თავს ანებებენ აქაურობას და სხვა-და-სხვა ქალაქებში მიდიან ხოლმე საცხოვრებლად. ზაფხულობით-კი სულ სხვაა, რაკი დადგება ხოლმე მაისის თვე და დაიწყებს სხვა-და-სხვა მხრიდგან უცხო ხალხი მოსვლას, მაშინვე აქაური ხალხიც ყველა თავისს ხელობას და საქმეს ხელს ჰკიდებს, მოძრაობაში მოდის, სიცოცხლე ემატება.

პიატიგორსკს გარდა სამგანაც სხვაგან არის სამადნო წყლები—კისლოვოდსკს, ესენდუკს და ჟელეზნოვოდსკში. ეს ადგილები პიატიგორსკის ახლოა, ზოგი 15-ის და ზოგი 20 ვერსის მანძილზედ. ყველგან სხვა-და-სხვა თვისების წყალია და დიდი ხანია რაც უკვე ცნობილია მრავალ სხვა-და-სხვა სატკივარისა და სენის მკურნალად. მაგალითად, პიატიგორსკის წყლები სასარგებლოდ არის ცნობილი ავის სენისა, ქარების და სხვა სენისათვის... კისლოვოდსკისა—ძარღვების ტკივილისა და მოშლილობის გასამაგრებლად და სხვ. კისლოვოდსკი სხვათა შორის იმითია უფრო შესანიშნავი, რომ აქ არის საოცარი და მშვენიერი წყარო „ნარზანი“. ეს წყალი ერთ ალაგას ამოსჩქეფს და თავის თავად ცივი წყალი ზღუდს ისე, თითქოს განგებ ადუღებს ვინმეო. მომჟავო გემო აქვს, გაზიანია და მეტად სასიამოვნო სასმელი. ექიმების რჩევით, ამ წყალს სვამენ კიდეც და საბანებლადაც ჰხმარობენ. აქამდის ცოტა ვერ იყო სუფთად და რიგიანად მომართული ნარზნის ჰაუზი, მაგრამ წელს ახალის კამისარის წყალობით მეტად საუცხოვოდ და მშვენივრად გამართეს წყლის სასმელი ჰაუზი და მისი შეკეთება და გასუფთავება კარგა დიდი ფულიც დაჯდა. ამას გარდა ერთი საცოდაობაც დატრიალდა. ჰაუზის ამოწმენდამ ერთი მუშა კაცი იმსხვერპლა, რომელსაც ნარზნის გაზის ძრიელებისაგან გული შეუწუხდა და სულ ორი საათი ვეღარ იცოცხლა ჰაუზიდგან ამოყვანის შემდეგ. ეხლა ჰაუზს ბევრად დიდი ადგილი უჭირავს, სიღრმითაც წინად 6 საჟენი იყო და ეხლა 9 საჟენზედ დასწიეს. გარშემო აქამდის რკინის უბრალო მოაჯირი ჰქონდა და ეხლა-კი სულ მარმარილოს ქვის გალავანი შემოარტყეს. ამასთანავე წინად შიგ ჰაუზიდგან იღებდნენ დასალევს წყალს და ეხლა-კი გვერდებზედ ჩამოსასხმელი მშვენიერი „კრანები“ გაუკეთეს ჰაუზის გალავანს.

ესენდუკის წყალიც დიდად სასარგებლოა სხვა-და-სხვა სატკივრებისთვის. მაგალითად, ძალიან ჰშველის კუჭის ტკივილს და იმას, ვისაც მუწუკები აყრია, თიადორიანია და სხ. გრუპაა ჟელეზნოვოდსკში რკინის წყლებისა, რომელსაც სვამენ და რომელშიაც ბანაობენ ისინი, რომელნიც სისხლ-ნაკლებნი არიან. ყველაზედ კარგი ადგილი საცხოვრებლად და ჰავითაც-კი უფრო კისლოვოდსკია, რომელიც მაღლობ ადგილზედ არის გაშენებული.

პიატიგორსკში აგერ ერთი თვეა, რაც დაიწყო კურსი და საზაფხულო სტუმრები საკმაოდ მოვიდნენ. კისლოვოდსკში-კი მხოლოდ დღეს, პირველ თიბათვეს დაიწყო. ამ ჟამად სამადნო წყლებზედ სულ მოსულია 1186 კაცი. ჯერ, რასაკვირველია, ცოტა ადრეა. ქალაქებში ჯერ ისეთი სიცხეები არ იქნება და ამიტომ ცოტ-ცოტა მოდიან. სულ 7000-დე ხალხი მოდის ხოლმე.

შ. ვაჩნაძე.

# უცხოეთი

**გერმანია**. თავისუფალ მოაზრეთა დასს უნდა თავის პროგრამაში ჩაურთოს ზოგიერთი მუხლი საეკონომიო რეფორმებისაცა. ჩვენი ვალიაო, ხელი შევწყობისა გავუწოდოთ იმათ, ვისაც არა აბადია-რა, ანუ მცირედი ქონება და შეძლება აქვთ, რათა ამ სახით დაკმაყოფილებულ იქმნას მათი სამართლიანი სურვილი იმისი, რომ ცოტა უფრო მეტი წილი ჩაიდონ ქვეყნის ნივთიერსა და კულტურულს წარმატებაში. რაკი ასეთია მათი სურვილი, ცხადია, საჭიროა უფრო ვრცელი საეკონომიო და კულტურული რეფორმებიცა. ამიტომ თავისუფალ მოაზრეთა საერო დასი ერის საკეთილდღეოდ თხოულობს: 1) განცალკევდეს სკოლა და ეკკლესია ერთმანეთისაგან, საერო განათლებას დაედოს საფუძვლად სავალდებულო და საყოველთაო საერო სკოლა, სწავლება და სასწავლო ნივთები უსასყიდლოდ და მუქთი იყოს, გავრცელდეს დაარსება დამატებითის სკოლებისა და გაძლიერდეს საპროფესიონალო განათლება; 2) აღკრძალულ იქმნას ხელოსნობა და დაქირავებით მუშაობა 14 წლისაზედ ნაკლები ხნის ყმაწვილებისათვის, შემცირდეს სამუშაო დღე ქარხნებსა და სახელოსნოებში და მუშაობა არ აღემატებოდეს 48 საათს კავშირი მოზარ ბავშვებისათვის 14—17 წლამდე, 45 საათს—სრულ ჰასაკოვან მუშა-დედაკაცთათვის და შემოღებულ იქმნას, რამდენს საათზედ მეტი მუშაობა არ უნდა იყოს შეწყნარებული სრულ-ჰასაკოვან მუშა მამაკაცთათვის. პირველ ხანში 9 საათზედ მეტს ხანს მუშაობა არ უნდა იყოს დაწესებული არსად, არც სახელმწიფო და არც საკომუნალო სამუშაოზედ; კერძო კაცთა სამუშაოებზედ-კი რაოდენობა მუშაობის დროსი უნდა დაწესებულ იქმნას ხოლმე ცალკ-ცალკე ყოველ განსაკუთრებულის ხელობისა და პროფესიისათვის. თავისუფალ მოაზრეთა დასი თხოულობს, რომ გაუქმებულ იქმნას ყოველ-გვარი აღკრძალვა მუშათა შეერთება-შეამხანაგებისა: მუშა ხალხს, მათ შორის სოფლის მუშებისა და სახლში ხელზედ მოსამსახურეთ ნება უნდა ჰქონდეთ შეერთება-შეამხანაგებისა, ასოციაციისა; რათა ასე შეკავშირებით იცავდნენ თავიანთ ინტერესებს. მუშათა ამა თუ იმ ამხანაგობას უნდა მინიჭებული ჰქონდეთ უფლებანი საამხანაგოთ თავიანთ საქმეთა წარმოებისა, ესრედ წოდებული საკორპორაციო უფლებანი. საქარხნო ინსპექცია უნდა გაძლიერებულ იქმნას, ამ ინსპექციის უფლებანი უნდა მიემატოს და ნება უნდა ჰქონდეს მიცემული, რომ თვალ-ყური ადევნოს სასოფლო მეურნეობასაც. დღეს არსებული კანონ-მდებლობა მუშათა დაზღვევის შესახები უნდა გადასინჯულ იქმნას და ისე უნდა შეიცვალოს, რომ მუშა ხალხს უფრო მეტი მონაწილეობა ჰქონდეს საზღვევ კასების წარმოებაში, მეტი მონაწილეობა ჰქონდეს, რომ დაზღვევათა უფლებანი უზრუნველ-ჰყოს და დაიცვას, რომ აიცილოს თავიდამ ის დაბრკოლებანი თავისუფლად ერთის ადგილიდამ მეორე ადგილას გადასვლისა, რომელიც სავალდებულოდ გამხდარ დაზღვევის საქმის გამო გაჩენილა. მთლად საქმეთ-წარმოებას მუშათა დაზღვევისას ეჭირვება განმარტივება, სისწრაფე და გაადვილება იმ წესისა, რა წესითაც საზღაურს აძლევენ მუშებს. საჭიროა აგრედვე შემცირდეს ხარჯი ამ საქმის წარმოებისა.

მესამე მუხლს სახეში აქვს დაცვა ხელოსანთა ინტერესებისა. ჰამქრის განსაკუთრებული უპირატესობანი-კი არა, არამედ ყოვლად სრული თავისუფლება ხელობისა და ხელოსნობისა უნდა იყოს უმთავრესი მოძღვრება თავისუფალ მოაზრეთა პოლიტიკისაო. გარნა მარტო ოდენ თავისუფლება იმაშია, რომ ვითომ ხელოსანმა იხელოსნოს, საკმაო არ არის ხელოსნის კეთილდღეობისათვის. ხელოსანს ეჭირვება ფულის ადვილად შოვნა სესხად, ეჭირვება ამხანაგობანი თავის სახელოსნო მასალის სასყიდლად და მერე საქონლის გასასყიდლად და გასასაღებლად; სასურველია აგრედვე მრავლად დაარსება ისეთ ამხანაგობათა და ასოციაციებისა, რომელთაც, რამდენადაც შესაძლოა, სრული და უნაკლულო ბუნება და მოწყობილება ჰქონდეთ. საჭიროა მწარმოებელი ამხანაგობანი. პროგრესისტების საყვარელი კაცი შულცე-დელიჩიც თითქმის ამასვე თხოულობდა. ახალი და ჭკვიანური თავისუფალ მოაზრეთა სურვილში მხოლოდ ის არის, რომ ეს დასი ამბობს, რომ ამხანაგობანი ხელობის საქმეში იქმნას დაარსებულნიო, მაშინ როდესაც შულცე-დელიჩი და მისნი მომხრენი ჰგონებდნენ, რომ შემნახველ-გამსესხებელნი, დამზოგველ-მომხმარებელნი და სხვა ამ გვარნი ამხანაგობანია წამალი მთლად სოციალურის ჭირ-ვარამისა და უსწორ-მასწორობისაო, ეგ ამხანაგობანი სულ გადასწყვეტს სოციალურს საგანსაო. ჰგონებდნენ ამას და იმას-კი ვერა ჰხედავდნენ, რომ ეგ ასოციაციები თითქმის სულ უმნიშვნელოა ანუ სულ არ გამოდგება და ვერ იხეირებს ეხლანდელ საეკონომიო ვითარებაში. ახალის პროგრამის შემდგენელნი ამბობენ იმასაც, რომ საჭიროა აღკრძალულ იქმნას ხელოსნობა ციხე-საპატიმროებში და დაცულ იქმნას ინტერესები ხელოსანთა შენობის აგების საქმეში სხვა-და-სხვა იჯარადართა მძარცველობისაგანაო.

მეორე მუხლი პროგრამისა ამბობს: უნდა გაუქმებულ იქმნას შეკვრა მამულებისა, ანუ მაისრატობა და აღკრძალულ—ახალის ფიდეიკომისების დაარსება. ლატიფუნდიები, ანუ დიდრონი მამულები და სახელმწიფო ქონებანი (?) უნდა დაკნინებულ იქმნას, რათა გავრცელდეს და მრავლად დაარსდეს შუათანა ზომისა და პატარ-პატარა მეურნეობა გლეხ-კაცთა, იმიტომ რომ მარტო ამისთანა მეურნეობა და ოჯახობანი მოგვცემს ღონეს დავიცვათ თავისუფლება და დამოუკიდებლობა გლეხ-კაცთა წოდებისა. ნურას ვიტყვით იმაზედ, თუ რამდენად ძნელია და მოუხერხებელი ამ უკანასკნელის აზრის განხორციელება; საკვირველი ის არის, რომ ლატიფუნდიები და სახელმწიფო ქონებანი ერთს წრეზეა დაყენებული და ისეა დაყენებული, რომ ორივე უნდა მოისპოსო. თავისუფალ მოაზრეთა დასი ეტყობა ნაკლებად ჰფიქრობს იმაზედ, თუ რა მოხდება 3—4 თაობის შემდეგ, უკეთუ ის მცირე ნაშთიც სახელმწიფო ქონებათა სრულიად მოისპო და გაჰქრა

მეხუთე მუხლში მოხსენებულია, რომ

---

მრავლი კიდევ შევძინე შენს საწმყსოს... იმათიც მეკუთვნის...

— ამ დღეებში, გენაცვალე... ეს ოხერი ვერ ვიცლი, რომ ერთი გავემგზავრო და მოვკრიბო რაც მერგება ჩემი კლიენტებიდამ... აბა, дѣло „по иску Тедо Бочоришвили съ Беруа Ниніашвили 50 руб.—стоимости свиньи“, მომეცი.

— შენა გაქვს, კაცო, ეგ საქმე? მართლა, არზა ხომ შენის ხელით არის დაწერილი, სულ დამავიწყდა... მერე, კაცო, ღორი და ხუთი თუ...-ამ დროს სოსიკომ თედო დაინახა და, რა მიხვდა, რომ იგი ყბედაძის კლიენტი უნდა ყოფილიყო—ლაპარაკი რუსულად განაგრძო.—სუდიამ ბევრი იცინა—აქაური ღორი ხუთი თუმანი როგორ ეღირებაო.—ეუბნებოდა სიცილით სოსიკოს.

— არა, რას ვაგებ ამით, შენ გარდას?-უპასუხა რუსულადვე ყბედაძემ,—ნახევარი გასამრჯელო კიდეც მივიღე და... თუნდა საქმეც წავაგო, რასა ვკარგავ? არაფერს; სამაგიეროთ—კი „კლიენტს“ შურის ძიების მადას ვულვიძებ და ეს-კი პირველი საქმეა... დაათავა ქართულად ვექილმა.

— ცხოვრება გაჭირდა, ჩემო სოსიკო... განაგრძო რუსულადვე ყბედაძემ—ყოველი ღონის ძიება უნდა იხმაროს, რომ კაცი მშრალზე არ დარჩეს და მეც, ჩემო ძამიავ, ვცდილობ რაც შემიძლიან... ეჰ.. აბა, ბევრი რა გელაპარაკო, როდესაც ყველა ეს შენ ჩემზე კარგათ იცი...

— მოიტა ის საქმე-გავშინჯო, „პოვესტკა“ ვისა და ვის მიუღია...

სოსიკო მივიდა დიდ სკივრთან, გააღო იგი და შიგ დაწყობილს ქაღალდებს დაუწყო თვალიერება. სკივრში ქაღალდების გარდა აგრეთვე სხვა ნივთეულებაც ეწყო, მაგალითად ჩასუქებულს დედალს წამოეფშლაკა მაღლა ბარკლები,—დედლის ახლო, ერთ მხარეს, გამტკიცული შოთები ელაგა მწყობრად—და მეორე მხარს დედალს მსხალი და ვაშლი უმშვენებდა. წითელი კვერცხები თეთრი ქაღალდის გროვაზე სისხლის უშველებელს წვეთებად ეჩვენებოდა კაცის თვალს და დასასრულ, თითქოს სურათის სრულის ჰარმონიისათვის, ამ კუჭის გამახარებელ საგნებისათვის დარაჯად საკმარად მოზდილი ღვინის ხელადა მოედგათ.

ეს ყოველივე ადვოკატის გამჭრიახმა თვალმა კარგად დაინახა და ყბედაძე გამოეხუმრა სოსიკოს:

— ეჰა, ბიჭოჯან! შენ შენთვის კარგათ ჰყოფილ ხარ!!.. უხვათ მოგიმკით აი!..

— ვა! როცა არის სამკალი-რას დავერიდები?! ნათლიმამამ მომიტანა ძღვენი...

— ვიცი, ვიცი, შვილო, რა ნათლიმამაც იქნებოდა... კაი შვილსაც მოატყუებ... ასე გგონია, არ გამომეცადნოს... მე, როცა შენს ალაგას ვიყავი, შკაფები, ძამია, საქმეების მაგივრად ძღვენით მქონდა ხოლმე სავსე... Ну теперь за дѣло... აქ ყბედაძემ სათვალეები წამოიცო ცხვირზე, დაჯდა იმ სკივრზე, რომლიდამაც სოსიკომ საქმე ამოიღო და დაუწყო ქაღალდს ფურცვლა, მხოლოთ იძულებული იყო ხოლმე მალიმალ დაესებებია თავი საქმისათვის, რადგანაც იმის თხელ ცხვირზე სათვალე არ მაგრდებოდა. მაინც მალე გაათავა საქმის გასინჯვა და უკანვე დაუბრუნა, თანაც შემდეგის სიტყვებით მიმართა:

— სოსიკო, გეთაყვა, ეს საქმე პირველი იდოს. და (აქ ყბედაძემ ყურში დაუწყო ჩურჩული, ამასთანავე ლაპარაკის დროს თვალებს აქეთ-იქით ატრიალებდა, ხომ არავინ გვიყურებსო) თარგმანშიც ცოტა არ იყოს მალაშინი გაჰკარი მოწმების ჩვენებას... შენ თითონ მიხვდები, რა არის საჭირო და რა არა... ამის „ატვეტჩიკს“ ჩვენი ტუტუცი ასტფორიანცი ჰყავს «ადვოკატად» და იმას ქართულისა ცოტა ესმის... იცოდე „ლურჯაა“ შენთვის შეკაზმული აი... დაამთავრა მომხიბლავის ღიმილით ყბედაძემ.

— ვნახოთ... უპასუხა სოსიკომ, მხოლოთ ისე-კი, რომ აგრძნობინა ვექილს თავისი თანხმობა. ყბედაძე მიხვდა ამ პასუხის ძალას, რადგანაც დაჩვეული იყო „ვნახო“-ების, „მხოლო“-ების და სხვა „ოების“. იმან აღარა უთხრა-რა სოსიკოს, აიღო პორთფელი, წაიყოლია თან თედო და გასწია სამსჯავრო დარბაზისაკენ, რომელშიაც ხალხი თანდათან თავს იყრიდა მწერალის ძახილით მოწოდებული: „ვინც სუდიასთან დაბარებული ხართ-ზალაში მობძანდითო“-ო.

ი. ელეფთერიძე

(შემდეგი იქნება)

ვაჭრობა თავისუფალი უნდა იყოს, ვაჭრობა და მრეწველობა უნდა გაძლიერდეს მით, რომ თავისუფლად შეეძლებოდეს გაცვლა-გამოცვლა საქონლისა და ჭირნახულისა სხვა და სხვა ერთა შორისაო, მოხსენებულია აგრეთვე, რომ უნდა გაიაფდეს ფასი ხალხისა და საქონლის სიარულ ტარებისა ყველა გზებზედაო. ბოლოს უკანასკნელი მუხლი (მეექვსე) ამბობს, რომ ბინათა და სადგომთა ვითარება უნდა განკარგდეს, ეს აუცილებელი სოციალური საჭიროებაო.

ამ პროგრამის შემდგენელთ უგრძვნიათ, რომ თავისუფალ მოაზრეთა დასს, ჯერ ისევ 1889 წლის შემდეგვე, როცა ეს დასი შეუერთდა წინანდელ ნაციონალ-ლიბერალებს, უსაყვედურებდნენ ხოლმე—თქვენ მანჩესტერის მოძღვრების დასი ხართო, იმ მოძღვრებისა, რომელიც სრულიად უარ-ჰყოფს, რომ სახელმწიფო გაერიოს ერის ცხოვრებაში საზოგადოდ და საეკონომიო საქმეებში კერძოდ. ნუ, ნუ გაერევა და ნურც იქით მიჰხრის საქმეთა მიმდინარეობას, ნურც აქეთაო. ეს იყო მიზეზი, რომ თავისუფალ მოაზრეთა დასს ბევრი გადუდგა. როგორ იქნება, რომ თაოსნობას უარჰყოფთ, საქმეში ჩარევა არ გინდათ ძლიერის დაწესებულისა, როგორც არის სახელმწიფო, მერე ისეთს საქმეში, რომელიც ისე აღელვებს ერსაო თავისუფალ მოაზრეთა დასთა, ამ მომხრემ თავისუფლებისამ კარგად უნდა იცოდეს, რომ საპოლიტიკო თავისუფლება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა ერი რამდენადმე კეთილს დღეობაშია და რაოდენადმე დაუმოკიდებელია, ხოლო ამისთანა ყოფას სახელმწიფოს დაუხმარებლად ერი და ქვეყანა ვერ დაიმკვიდრებს. პროგრამმის შემდგენელნი ცხადად ამბობენ, რომ განზრახვა გვაქვს ბევრი რამ დავთმოთ, ოღონდ-კი ლიბერალიზმს არ დავუკარგოთ ძველებური მნიშვნელობა და გავლენაო. მაგრამ ისიც ეტყობათ, იმათთვის ისიც დიდი ამბავია, რომ ეხლანდელი საეკონომიო წეს-წყობილება შეურყევლად დარჩეს. ისინი ძალიან ცხადად ამბობენ, რა აზრისანიც არიან: „ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ რეფორმები ხელ-მოკლე და შეუძლებელთათვის ძალიან ადვილი განსახორციელებელი საქმეა ისეთს საზოგადოებისა და სახელმწიფო წეს-წყობილების დროსაც, როგორიც დღეს არსებობსო". სახელმწიფოს ორ-გვარი მოვალეობა აწევს: ამოავსოს ხრამი და ფლატე შეძლებულთა და შეუძლებელთა შორის, რამდენადაც შეიძლებოდეს და თან აღზარდოს ძლიერი, ზნეობით მტკიცე ადამიანი, რომელსაც შეეძლოს არა თუ კერძოთ კეთილდღეობა შეიძინოს, არამედ საზოგადოების სასარგებლოც იყოს, ქვეყნის საპოლიტიკო ცხოვრებაშიაც მონაწილეობას იღებდეს და კულტურის გაძლიერებას და მის სიკეთეს გამრავლება-გადიდებასაც ხელს უწყობდესო.

### მეორე მესტვირე რაღას ამბობს?

(მიბაძვა)

„ცრემლით ამევსო ქამანჩა,
განცვიფრდა და ოხვრით—სტვირიო!.."
დღემდისაც ახალ დროს ვგმობდი
და ახლაც იმას ვსტირიო!..

—

„ღმერთო, რა ვნახე?!. ვის ვხედავ?"
რა მოუვიდა ესაო?!
დღემდის ბოროტსა ჰკიცხავდა,
დღეს სხვა-გვარ დაიგვნესაო!..

—

ბედისა მცველად ვირთხა სდგას
და ხორბალს მწყემსავს კარია,
საშველად ჭიებს იწვევენ,
ღია არს მათთვის კარია!..

—

„დიდება შენდა უფალო!
სხვა დროა უცნაურიო..."
სულ სხვას ჰმეტყველებს, ჰღაღადებს
ბედადი ნამსახურიო!..

—

„ცრემლით მევსება ქამანჩა,
განცვიფრდა ოხვრით სტვირიო!..
დღემდის მოწაფეთ ვსტიროდი.
და დღეს მოძღვარსაც ვსტირიო!..

მარიკა

# დეპეშა

11 ივნისი

**პეტერბურგი.** სახელმწიფო ბანკი აცხადებს, რომ სესხი გაიცემა ყოველ-გვარ ჭირნახულისა, მუხუდოსა, ფთის-ხილის თესლისა და სელის გიროს მიღებით და ბანკი აიღებს იმ სესხში, რომელსაც გასცემს პირდაპირ ბანკი და მისი განყოფილება-დაწესებულებანი—$4^1/_2$%-ს, ხოლო იმ სესხში, რომელსაც მისცემს შუამავალი, რათა იმათ კიდევ თვით აძლიონ სესხი მსურველთ—$3^1/_2$%-ს.

ხარჯის გაწერის კომისიამ დაადგინა დააარსოს იმათ საქმეთა გადასაწყვეტად, ვინც დაარღვევს ხელობაზედ გაწერილ ხარჯის დებულებას, ყოველ გუბერნიაში საგუბერნიო ხელობის ხარჯთათვის საკრებულო თავმჯდომარეობით სახელმწიფო პალატის მმართველისა, აქციზის მმართველისა, ოლქის პროკურორისა, ქალაქის მოურავისა და საგუბერნიო საერო გამგეობის თავმჯდომარისა.

**ბელგრადი.** მეფე ალექსანდრე წავიდა დღეს სტამბოლს.

**ბერლინი.** იმპერატორმა ბრძანა დაპატიმრება ცერემონი - მეისტრის კოტცესი იმ ლანძღვის წერილებისათვის, რომელიც იმას უგზავნია კარის კაცთათვის.

**ლონდონი.** გერმანიის ანარქისტი ბრალლი, რომლის სადგომშიაც იპოვნეს სხვა და სხვა სიმჟავენი ასაფეთქებელ ნივთიერების მოსამზადებლად, სამართალში იქმნა მიცემული.

პრინცესსა ალისსა მივიდა ვილტონს და უნდა იქ ბატენბერგელ პრინცესსასთან დაჰყოს რამდენსამე ხანს.

**ალექსანდრია.** დღეს ქედივი გაემართა ზღვით სტამბოლს, სადაც მივა ორშაბათს ხონთქარი თავის სასახლეში ინახულებს ქედივს.

12 ივნისი

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატრიცა, დიდნი მთავარნი გიორგი ალექსანდრეს ძე და ალექსანდრე მიხეილის ძე და დიდი მთავრინა ქსენია ალექსანდრეს ასული გუშინ წავიდნენ აბასთუმნიდგან ბორჯომს და საუზმეს შემდეგ, ნაშუადღევის პირველს საათზედ, ხაშურით ბათუმს გაემგზავრნენ.

პეტერბურგის სატეხნოლოგიო ინსტიტუტის პროფესორი ლანკოვოი დანიშნულ იქმნა ვაჭრობის დეპარტამენტის დირექტორად.

**ვენა.** უნგრეთის მაგნატთა პალატამ დღეს უბაასოდ შეიწყნარა რუსეთთან დადებული ხელშეკრულობა.

პეტერბურგის ბირჟა, 10 ივნისი

| | მყიდვე-ლისა. | გამყიდ-ველისა. | გაყიდუ-ლისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | $7_{,48}$ | $7_{,51}$ | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | $149^1/_4$ | 150 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | — , | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . | — ,, | — ,, | $249^3/_4$ |
| —მეორისა . . . . | $225^1/_2$ | — ,, | — ,, |
| 4% მესამე სესხისა. . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . | — ,, | — ,, | 191 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% . . . . . | — ,, | $101^7/_8$ | — ,, |
| 5% . . . . . | — ,, | $101^1/_2$ | — ,, |
| ქუთაისის ბანკის 6%. | — ,, | $101^1/_2$ | — ,, |
| 5%. . . . . . | $100^1/_2$ | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | $99^3/_4$ | — ,, | — ,, |

# განცხადებანი


პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათამდე, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და სიფილისი.

გ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ი. ფ. პროტასევიჩი,—$11^1/_2$—$12^1/_2$ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვიჩი. $12^1/_2$—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

ა. ბ. კარაპეტიანცი, 1—$1^1/_2$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ა. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—$7^1/_2$ საათამდის.

გ. ი. ფრანციუსი, 7—$7^1/_2$ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.



# „ივერია"

ამ 1894 წელს გამოდის ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს. ფასი გაზეთისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით. . . . | 10 მ.—კ. | 6 თვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 ,, . . . . | 9 ,, 50,, | 5 ,, . . . . | 5 ,, 50,, |
| 10 ,, . . . . | 8 ,, 75,, | 4 ,, . . . . | 4 ,, 75,, |
| 9 ,, . . . . | 8 ,, —,, | 3 ,, . . . . | 3 ,, 50,, |
| 8 ,, . . . . | 7 ,, 25,, | 2 ,, . . . . | 2 ,, 75,, |
| 7 ,, . . . . | 6 ,, 50,, | 1 ,, . . . . | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია" მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію „ИВЕРІА".

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—ორი აბაზი.

თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, მას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დასაბეჭდად

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი—8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი—30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის გვარობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერები, წერილები და კორესპონდენციები რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქნება. ხელ-ნაწერს, რომელიც დაბეჭდილი არ იქნება, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონმა არ მოიკითხა, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვს.

არა-გვარს მიწერ-მოწერას დაუბეჭდელ ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირისპირ მოსალაპარაკებლად რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, ათ საათიდგან პირველ საათამდე და საღამოობით 6-დგან $7^1/_2$ საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ნიკოლოზის ქუჩაზე, 21.



საფრანგეთის საზოგადოება სიცოცხლის დაზღვევისა

„ურბენი" (L'URBAINE)

უმაღლესად ნება აქვს დართული 2 ივნისს 1889 წელს იმოქმედოს რუსეთში.
1 იანვარს 1891 წელს საზოგადოებას ჰქონდა თანხად 72.000,000 ფრანკი
საზოგადოების მოქმედებას მთავრობა მუდმივ თვალ-ყურს ადევნებს და კონტროლს უკეთებს.

საზოგადოება „ურბენ"-მა 1890 წ. საფრანგეთში და ევროპის სხვა სახელმწიფოებში დააზღვევა 50.000,000 ფრანკი.

ს.-პეტერბურგი, ნევის პროსპექტი, № 13.

საზოგადოება „ურბენი", ნაცვლად მოგების მიცემისა, დაზღვეულთ ავადმყოფობის დროს ანთავისუფლებს კადიან გარდასახადისაგან და პოლისის-კი ძალას არ აკარგებს.

უმთავრესნი წარმომადგენელნი საზოგადოებისა ამიერ-კავკასიაში არიან პოლაკი და ამხ., ტფილისს, ველიამინოვის ქუჩა, სახლი № 10, მეორე გიმნაზიის პირდაპირ.

დებულება და პირობის ფურცლები მსურველთ უფასოდ გაეგზანებათ.

(40—1061—6)



ახლად მოგონილი მაშინა „სლავა" (დიდება), რომელიც უბრალ საწვავ ნავთით მოჰყავთ მოძრაობაში.

ტურბინები

წყალის ამოსაყვანად, ჩარხს გაცილებით სჯობია და 2-დგან 200-მდე ცხენის ძალა აქვს.

В. Б. Жуковскій С.-Петербургъ
10, рота, 16.